



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 118  
06/03/2019

118-09-4-201903060944



**ბრძანება**

**ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების ინიცირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 85<sup>4</sup>-ე მუხლის მე-13-ე პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N2 დადგენილებისა და მერიის აპარატის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და მუნიციპალურ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანლის თენგიზ ტუნაძის 2019 წლის 05 მარტის N659 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

- 1) ინიცირებულ იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების საერთო კრებების ჩატარება და გაიმართოს დანართი N1-ში აღნიშნული კალენდარული განრიგის შესაბამისად;
- 2) დამტკიცდეს დანართი N2-ის შესაბამისად იმ დასახლებების განრიგი, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს და პროექტების შერჩევა მოხდება ამომრჩეველებთან კონსულტაციების გზით;
- 3) დაევალოს მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) წინამდებარე ბრძანების რეგისტრაციის მომენტიდან 3 დღის ვადაში საერთო კრების ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 85<sup>4</sup>-ის მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნების დაცვით ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (დაბა ხულო, აღმაშენებლის ქ. N5) ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ვახტანგ ბერიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი  
ხელმძღვანელობა